კონსტანტინე ბრეგაძე

გოეთეს მეფისტოფელი:
მეფისტოს პერსონაჟის არსობრივი მახასიათებლები

შესავალი

მეფისტოფელის პერსონაჟი მრავალ განზომილებას შეიცავს, რაც მსოფლიო ლიტერატურის პერსონაჟთა გალერეაში იშვიათი შემთხვევაა: კერძოდ, მეფისტოფელის პერსონაჟში ერთდროულად იკვეთება სპეციფიური მსოფლმხედველობრივი, ანთროპოლოგიური, ონტოლოგიური (ყოფიერებისეული), გნოსეოლოგიური (შემეცნებითი), აქსიოლოგიური (ღირებულებითი), მენტალური და სოციოკულტურული მახასიათებლები.

გარდა ამისა, მეფისტოფელის პერსონაჟის სპეციფიკა ისიც არის, რომ იგი თავად ფაუსტის პერსონაჟის „ალტერ ეგოა“, უფრო ზუსტად, ფაუსტის პერსონაჟის ანთროპოლოგიის, ფაუსტის პიროვნების შემადგენელი და განუყოფელი ესენციური (არსობრივი) ნაწილია, რაზეც ფორმალურად და სიუჟეტურად მათი მუდმივი ერთად ყოფნაც მიუთითებს (და ეს მუდამ ერთად ყოფნა არა მხოლოდ ფიზიკურია, არამედ ფსიქოლოგიური, მენტალური, ინტიმური და იმანენტური), ასევე მიუთითებს მეფისტოს ზედწოდებანი, რომლითაც მას უფალი და ფაუსტი მიმართავენ – “ამფსონი”/“ამხანაგი” („Geselle“) [V. 342] (Goethe, 2000, p. 12), ”მეგობარი”/“ამხანაგი”/”თანამგზავრი” („Gefährte“) [V. 3243] (Goethe, 2000, p. 95), რაზეც ზუსტად მიუთითა ჰ. რ. ვაგემ (Vaget, 2002, p. 242, 243). გარდა ამისა, *ამხანაგად* და *ამფსონად* („Geselle“) ფაუსტი მეფისტოს ტრაგედიის მეორე ნაწილის პირველივე მოქმედებაში მოიხსენიებს, სცენაში “ჩაბნელებული გალერეა” („Finstere Galerie“), (Goethe, 2001, p. 46), ხოლო ამავე პირველი მოქმედების სცენაში “გაჩახჩახებული დარბაზები” („Hell erleuchtete Säle”) უკვე მეფისტო უწოდებს ფაუსტს “ჩემი ძმაბიჭი” („mein Kumpan“) (Goethe, 2001, p. 50).

შესაბამისად, მეფისტოფელი, ერთი მხრივ, განასახიერებს ფაუსტის არაცნობიერ საწყისს, მის ლიბიდოზურობას, ასევე მისი არსის ბიო-სომატურ, სხეულებრივ საწყისს (სხეულებრიობას), მეორე მხრივ, განასახიერებს ფაუსტისავე ნიჰილისტურ-სკეპტიკურ ცნობიერებასა და მატერიალისტურ მსოფლმხედველობას. ამიტომ, როდესაც მეფისტოფელი ფაუსტს თან ახლავს (და ისინი, ფაქტიურად, სულ ერთად არიან), ეს გულისხმობს იმას, რომ ფაუსტი გარკვეულ მომენტებში ექვემდებარება კიდეც მეფისტოს ნეგატიურ გავლენას ყველა იმ სიბრტყეზე, რაც ზემოთ ჩამოვთვალე – იქნება ეს მსოფლმხედველობრივი, მენტალური, სოციოკულტურული, ანთროპოლოგიური, ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური თუ აქსიოლოგიური: მაგალითად, ანთროპოლოგიურ

სიბრტყეზე რომ განვიხილოთ ფაუსტისა და მეფისტოს ერთად ყოფნა, ეს ალეგორიულად ნიშნავს იმას, რომ ფაუსტი, მისი ცნობიერება ექვემდებარება საკუთარივე არაცნობიერი ლიბიდოზური საწყისის ზემოქმედებას და მისი გავლენის ქვეშ ექცევა, ვინაიდან სწორედ მეფისტოფელია ამ ლიბიდოზური საწყისის სიმბოლური განსახიერება (შდრ. ტრაგედიის პირველ ნაწილში *ალქაჯის სამზარეულოსა* და *ვალპურგის ღამის* სცენები); ახლა მსოფლმხედველობრივ სიბრტყეზეც რომ განვიხილოთ მათი ერთად ყოფნა: ეს ალეგორიულად ნიშნავს იმას, რომ ფაუსტი მოექცევა ხოლმე მატერიალისტური მსოფლმხედველობისა და მერკანტილური მენტალობის გავლენის ქვეშ, ვინაიდან მეფისტოფელი სწორედ ამ ტიპის მენტალობისა და მსოფლმხედველობის განსახიერებაცაა (შდრ. ტრაგედიის მეორე ნაწილის პირველი მოქმედება საიმპერატორო კარზე). ამგვარად, მთელი ტრაგედიის მანძილზე ფაუსტი თავისივე სხვა ანთროპოლოგიური საწყისის, კერძოდ, მეფისტოფელური საწყისის მუდმივი გავლენის ქვეშაა მოქცეული და მას მუდამ უწევს შინაგანი ბრძოლა ამ გავლენიდან გამოსასვლელად და საკუთარი ენტელექიური სუბიექტურობის განსავითარებლად.

აქვე იმასაც გავუსვამ ხაზს, რომ გოეთეს "ფაუსტში" მეფისტოფელი ცალსახად "ისტორიული" პერსონაჟია, "სეკულარული" პერსონაჟია და არა ტრადიცული, რელიგიურ-ეკლესიური გაგების *ეშმა.* ამას ცხადყოფს ის გარემოება, რომ მთელი ტრაგედიის მანძილზე მეფისტოფელის მოქმედების არეალი კონკრეტული ისტორიული, სოციოკულტურული და ბიურგერული საყოფაცხოვრებო სივრცეა, მკვეთრად "დაზაინისეული" სივრცეა. ამიტომაც, მისი პერსონაჟის არსის ახსნა და "გახსნა" უმალ ფილოსოფიური, კულტუროლოგიური და სეკულარული უნდა იყოს და არა თეოლოგიური და მითოსური.

ჰარალდ ვაინრიხი გამოჰყოფს მეფისტოფელის მთელ რიგ მახასიათებელს, რომლებიც ხაზს უსვამენ მის ადამიანურ და არა ზებუნებრივ, ეშმაკისეულ, დემონურ წარმოშობას: 1. ის არის მე-18 საუკუნის განმანათლებლობას ნაზიარები, მსოფლიომოვლილი (გერმ. Weltmann), გამოცდილებამიღებული, უაღრესად ერუდირებული კაცი, "გამოსული" კაცი, რომელიც თავისუფლად ციტირებს ბიბლიას, რომელსაც შეუსწავლია ემპირიული მეცნიერებები და აქვს ენციკლოპედიური ცოდნა; 2. გაწაფული რიტორია, ეტიკეტის მცოდნეა, როკოკოს სტილის გალანტური კავალერია, მოდურად იცვამს, დახვეწილი მანერები და ასევე დახვეწილი მეტყველება აქვს; 3. ფლობს სტერეოტიპებისაგან თავისუფალ კრიტიკულ გონებას; 4. განმანათლებლობის ეპოქის ტიპიური მორალისტია (ვოლტერის სტილის), ვინაიდან მეფისტომ კარგად უწყის ადამიანის ბუნების მანკიერებანი და სისუსტეები, რაც მისი მხრიდან ქილიკის, დაცინვისა და დაუნდობელი კრიტიკის საგანია (Vaget, 2002, p. 235).

ამ თვალსაზრისთ, ანუ ის, რომ მეფისტოფელი *მიწიერი* არსებაა, *მიწიერი* პერსონაჟია, რომ ფაუსტივით ისიც ადამიანია და არა დემონიური ზებუნებრივი არსება,

საყურადღებოა მეფისტოს შემდეგი სიტყვები "ფაუსტის" მეორე ნაწილის მეოთხე მოქმედების დასაწყისიდან (Anderegg, 2013, p. 112):

> ***მეფისტოფელი:***
> როდესაც უფალმა – კარგად არც ვიცი, რატომ – ჩვენ ზეცისა და ეთერის სფეროებიდან გამოგვაძევა და უღრმეს უფსკრულებში ჩაგვყარა, იქ, სადაც მარადიული ცეცხლი („ein ewig Feuer") *(ანუ დედამიწის ბირთვი – კ. ბ.)* ცენტრალურ ადგილას („zentralisch") დიდ და დიდ ღველფებად მხურვალედ იწვის, ცოტა არ იყოს, ერთ ვიწრო, ოდნავ განათებულ ადგილზე აღმოვჩნდით, მივარდნილ და არამყუდრო ალაგას. ეშმაკებს ყველას ერთიანად ხველა აუტყდა, ზემოდან (ანუ პირიდან – კ. ბ.) და ქვემოდან (ანუ უკანალიდან – კ. ბ.) კვამლის ბურთულები გამოსდიოდათ; ქვესკნელში გოგირდის და მჟავის ოხშივარი ადიოდა და ამ ოხშივარისგან გაზი („Gas") წარმოიქმნებოდა! მერე ის იზრდებოდა და იზრდებოდა, საშინლად ბევრდებოდა და ფართოვდებოდა, ისე რომ მალე ხმელეთის ბრტყელი ფენა წარმოიქმნა, რომელიც ისე გასქელდა, რომ ბოლოს გასკდა და იფეთქა. ასე აღმოვჩნდით სხვა კონცხზე/ქიმზე და რაც აქამდე ძირი იყო, თურმე ახლა მწვერვალად ქცეულიყო. აქედან ეშმაკებმა კარგი გაკვეთილი აითვისეს: უმდაბლესის უმაღლესად ამოტრიალება. აი, ბოლოს ასე მოვწყდით, ასე დავუსხლტით ჩვენი მონობის გავარვარებულ ალაგს, დავუსხლტით ცხელ გრუნტს (ანუ დედამიწის ვულკანურ-მაგმურ შრეებს – კ. ბ.) და ჩვენი ძალაუფლება და მბრძანებლობა („Herrschaft") დავამყარეთ ვრცელ სივრცეებში – ეთერსა და ჰაერსა შინა. ჩვენს ამ ცხად საიდუმლოს კარგად ვინახავთ და მერე მოგვიანებით გავუცხადებთ ამას ხალხებს და ერებს („den Völkern")" (სტატიაში აქ და ყველგან „ფაუსტის" პროზაული თარგმანები ჩემია – კ. ბ.) [V. 10075-10094] (Goethe, 2001, p. 160).

გარდა იმისა, რომ აქ მეფისტოფელი პლანეტა დედამიწაზე ხმელეთის წარმოშობის ვულკანისტურ თეორიას ავითარებს, მიწის სტიქიაზე, მიწაზე აპელირება და მისი გეოლოგიური ცოდნა აქ სწორედ იმას გულისხმობს, რომ მეფისტო მხოლოდ მიწიერი არსებაა და მისი სამოქმედო არეალი მხოლოდ და მხოლოდ პლანეტა დედამიწა და მისი ატმოსფერული სივრცეებია (Anderegg, 2013, p. 112), ნიცშესეულად რომ ვთქვათ, მეფისტო "მიწის აზრია". ამავდროულად მეფისტო, – როგორც მიწის სტიქია, – მიწიერი, ამქვეყნიური პროცესების, კერძოდ, გეოლოგიური და ისტორიული პროცესების მამოძრავებელი ძალაცაა. დედამიწის ისტორიის და საკაცობრიო ისტორიის საფუძვლად მეფისტოს ყოფნა კი, ერთი მხრივ, ნიშნავს იმას, რომ პლანეტა დედამიწა მუდმივად ქაოსისა და სტიქიების სივრცეა, რომ დედამიწის საფუძვლად არ მდებარებს რაიმე წინასწარ მასტაბილიზებელი >>ღვთაებრივი<< გეგმა, ჩანაფიქრი; მეორე მხრივ კი, ნიშნავს იმას, რომ საკაცობრიო ისტორიას, ისტორიულ პროცესს საფუძვლად *გონი* (გერმ. Geist) და ეთიკური საზრისი, ეთიკური საწყისი კი არ უდევს, არამედ *ძალა, ნება,* რაც ისტორიული პროცესის ფარგლებში ვლინდება, როგორც დამანგრეველი და სტიქიური პოლიტიკური

ძალების უსასრულო შეხლა-შემოხლა _ "ჩვენს ამ ცხად საიდუმლოს კარგად ვინახავთ და მერე მოგვიანებით გავუცხადებთ ამას ხალხებს და ერებს („den Völkern")". ეს კი ნიშნავს იმასაც, რომ ისტორიული პროცესი სტიქიური, ქაოტური, უსაზრისო და უსაზმნო პროცესია არსაიდან არსაით.

ის, რომ მეფისტოფელი "სეკულარული" პერსონაჟია, ანუ ის, რომ ისიც ფაუსტივით ადამიანია, ადამიანური წარმოშობის პერსონაჟია და რომ მასში რაიმე ზებუნებრივი და ეშმაკეული საწყისი არაა, ამაზე ასევე მიუთითებს თავად მეფისტოსავე ნათქვამი ტრაგედიის მესამე პროლოგში: *"საამო არის დიადი უფლისაგან, რომ ის თვით **ეშმასაც** ასე ადამიანურად ებაასება" („Es ist gar hübsch von einem großen Herrn, / So **menschlich** mit dem Teufel selbst zu sprechen")* [V. 352-253] (Goethe, 2000, p. 12). ფრაზით "თვით ეშმასაც ასე **ადამიანურად** ებაასება" ხაზი გაესვა არა მარტო იმას, რომ მთელი მესამე პროლოგის მანძილზე უფალი მეფისტოს კეთილგანწყობით ებაასებოდა ან მისთვის გასაგებ ადამიანურ ენაზე, მოკვდავთა ენაზე ესაუბრებოდა და უხსნიდა საკითხებს (Gaier, 2001, p. 30) (და ამგვარად სიტყვა "ადამიანურად" აქ მხოლოდ ფსიქოლოგიურ და ჰერმენევტიკულ მომენტზე კი არ მიუთუთებს), არამედ ეს ფრაზა, პირველ რიგში, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ტრაგედიის ძირითად ტექსტში/ტრაგედიის ძირითად სცენებში მკითხველსა და მაყურებელს საქმე ექნება არა ტრადიციული, ქრისტიანული გაგების დემონთან და ეშმაკთან ან რაიმე ბოროტეულ ზებუნებრივ ძალასთან, არამედ ადამიანური წარმოშობის პერსონაჟთან.

1. სახელ "მეფისტოფელის" ეტიმოლოგია და ონომასტიკა

ეშმაკის სახელი "მეფისტოფელი" გვხვდება მხოლოდ ფაუსტურ ტრადიციაში. პირველად ეს სახელი ფაუსტის თემაზე შექმნილ პირველ თხზულებაშივე, ორთოდოქსი ლუთერანი ანონიმი ავტორის თხზულებაში "დოქტორ იოჰან ფაუსტის ისტორია" („Historia von D. Johann Fausten") [1587] გვხვდება (ამ თხზულებას შემოკლებით "ფაუსტის წიგნსაც" (გერმ. „Faust-Buch") უწოდებენ), სადაც გამოყენებულია სახელის ფორმა "მეფოსტოფილეს" („Mephostophiles") (Schmidt, 2011, p. 14). გოეთემ კი ტრაგედიაში გამოიყენა ეშმაკის სახელის ეს ლათინიზებული ფორმა – "მეფისტოფელეს" („Mepisthopeles") (Gaier, 2001, p. 21), რომელიც, სავარაუდოდ, ორი ძველებრაული სიტყვისაგან შედგება – "მეფირ" და "თოფელ": 1. ძვ. ებრ. mephir ნიშნავს "დამანგრეველს", "დამაქცეველს", "გამანადგურებელს" (გერმ. Zerstörer), ხოლო 2. ძვ. ებრ. tophel ნიშნავს "მატყუარას", "ფლიდს", "თაღლითს", "გაიძვერას" (გერმ. Lügner) (Gaier, 2001, p. 22).

ამგვარად, სახელ „მეფისტოფელის" ონომასტიკაში, ანუ ამ სახელის სიმბოლურ-მეტაფორულ საზრისში მეფისტოფელის პერსონაჟის ორი მთავარი თვისებაა კოდირებული – რომ ეს პერსონაჟი არის დამანგრეველი და მაცდუნებელი ძალა (ასეც უწოდებს ის თავის თავს – "სიცრუის სული", "Lügengeist") (Goethe, 2000, p. 52), ამ

ნეგატიური ძალების სიმბოლური განსახიერება. თუმცა, ამ ორ ასპექტს შემდგომ კონცეპტუალურად უკავშირდება მესამე ასპექტიც – "უარმყოფელობა", რასაც ფაუსტის წინაშე ახლადგამოცხდებული მეფისტოფელი წარდგენისას საკუთარ თავზე ამბობს კიდეც: *"მე ვარ სული, რომელიც მუდამ უარყოფს" ("Ich bin der Geist, der stets verneient!"* [V. 1338] (Goethe, 2000, p. 39). შესაბამისად, მეფისტოფელი არის დამანგრეველი, მაცდუნებელი და უარმყოფელი ძალა, არსი. მეფისტოფელის სახელში კოდირებული ეს თვისებები კი, ერთი მხრივ, ვრცელდება ონტოლოგიურ სიბრტყეზე, მეორე მხრივ, ვრცელდება ანთროპოლოგიურ, აქსიოლოგიურ, მენტალურ და მსოფლმხედველობრივ სიბრტყეებზე და მოიცავს თავად ფაუსტის არსს.

ონტოლოგიური თვალსაზრისით მეფისტოფელის დამანგრეველობა ვლინდება იმაში, რომ ის არის დამანგრეველი სამყაროული ძალა, კერძოდ, სამყაროში, ბუნებაში არსებულ ქმნილებათა გამაქრობელი და გამანადგურებელი ძალა, ხოლო მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით მეფისტოს დამანგრეველობა ვლინდება იმაში, რომ ის მუდამ ცდილობს, დაანგრიოს ფაუსტის მყარი მეტაფიზიკური და იდეალისტური წარმოდგენები და ისინი შეუცვალოს მატერიალისტური ყაიდის წარმოდგენებით.

შემდგომ: მეფისტო, როგორც მაცდუნებელი ძალა, მუდმივად ცდილობს ფაუსტი ონტოლოგიური თვალსაზრისით მოატყუოს და დაარწმუნოს იმაში, რომ სამყარო მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკალური, სხეულებრივი, მატერიალური მოცემულობაა; ანთროპოლოგიური თვალსაზრისით კი მეფისტო ცდილობს აცდუნოს და დაარწმუნოს ფაუსტი იმაში, რომ ის როგორც არსი, მხოლოდ ფიზიკალური, სხეულებრივი ორგანული ქმნილებაა, რომლის ბუნებაც მხოლოდ ლიბიდოზურობამდე დაიყვანება და რომ ბოლოს ის, როგორც ანთროპომორფული სხეულებრივი, საგნობრივი, მატერიალური ფორმა, საბოლოოდ განადგურდება და გაქრება. ამიტომაცაა, რომ მთელი ტრაგედიის მანძილზე მეფისტო მუდმივად ცდილობს ჩააგონოს და შეაგონოს ფაუსტს, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებელი არსებაა, მხოლოდ და მხოლოდ სხეულებრივი და სასრული არსია, რომელსაც მხოლოდ სომატური მოთხოვნილებები გააჩნია: *"ბოლოს მაინც ის იქნები, რაცა ხარ. თუგინდ, მოირგე პარიკი მილიონ ხვეულით, თუნდ, ამოიცვი გრძელი წინდები, მუდამ მაინც იმად დარჩები, რაც ხარ" ("Du bist am Ende – Was du bist. / Setz' dir Perücken auf von Millionen Locken, / Setz' deinen Fuß auf ellenhohe Socken, / Du bleibst doch immer Was du bist "*[V. 1806-1809] (Goethe, 2000, p. 51).

ამგვარად, მეფისტოფელის მიხედვით, ადამიანი (შესაბამისად, ფაუსტი) არის დეტერმინებული მოცემულობა – მისი აწმყო და მომავალი წინასწარაა განსაზღვრული, ერთი მხრივ, სამყაროს სხეულებრივი წარმოშობით და, მეორე მხრივ, "დაზაინ"-ით, ანუ აქ-მყოფობით, აქ-ყოფნით, აქაური ყოფით: კერძოდ, ადამიანი (შესაბამისად, ფაუსტი) განწირულია, მუდამ იყოს სრული არარაობა, სასრულობა და განქარვებადი ბიოლოგიური არსება სამყაროს სხვა არსებებისა თუ ფენომენების მსგავსად და მეტი

არაფერი. ადამიანის ამ არარაობის ხაზგასასმელად მეფისტო იყენებს ასეთ მეტაფორებს – “ჭიაყელა” („ვურმ“, „Wurm“), “კუტკალია” („ციკადე“, “Zikade”).

აი, დაახლოებით ასე გამოიყურება მეფისტოს სკეპტიკური ანთროპოლოგია (თუ >>ჰომოდიცეა<<) და მისი "რაც ხარ". და ის მუდამ ამას ჩასძახის ფაუსტს მთელი ტრაგედიის მანძილზე, რამეთუ მეფისტო ყველაფერთან ერთად უარმყოფელი სულია, რომელიც ყველაფერს "მარადიულ სიცარიელეში" („Das Ewig-Leere“), არარაში მიაქანებს გასაქრობად.

შესაბამისად, მეფისტო ფაუსტს ატყუებს, რომ მის ანთროპოსში მოცემული არაა მარად უკვდავი საწყისი – *ენტელექია,* რაც არის ფაუსტის დაუდგრომელი და მუდამ ქმედითი შემმეცნებელი სული, ატყუებს, რომ ის სინამდვილეში ენტელექიური და მარადიული არსი კი არაა, არამედ წარმავალი და განქარვებადი არსია. ამიტომაცაა, რომ მეფისტოფელს მუდამ სურს, ლიბიდოზურობასა და სხეულებრიობაში ჩატოვოს ფაუსტი და ამიტომაც მიუძღვება მას ჯერ ალქაჯის სამზარეულოში და მერე ვალპურგის ღამის ორგიებში, რაც სწორედ არაცნობიერი ლიბიდოზურობის პოეტურ-სიმბოლური სივრცეებია; ამიტომაცაა, რომ მეფისტო, როგორც ამ ლიბიდოზურობის სიმბოლური განსახიერება, ფაუსტს გრეთჰენისადმი მხოლოდ *კუპიდიტასს,* ანუ მხოლოდ სექსუალურ ლტოლვას უღვივებს და სატრფოსადმი ეროტიულ, ანუ ეროსისმიერ, გზნებას უხშობს და ცდილობს გრეთჰენისადმი ფაუსტის ეროსი გაანადგუროს.

გარდა ამისა, მეფისტო ფაუსტს აცდუნებს აქსიოლოგიური (ღირებულებითი) თვალსაზრისითაც და ცდილობს მას გაუღვივოს მერკანტილური და მომხმარებლურ-პრაგმატული მენტალობა და ვნებები (განსაკუთრებით იხ. ტრაგედიის მეორე ნაწილის პირველი მოქმედება საიმპერატორო კარზე და მეოთხე მოქმედებაში ზღვის ვიზიონის სცენა).

ამგვარად, მთელი ტრაგედიის მანძილზე მეფისტოფელი ცდილობს ფაუსტს, ერთი მხრივ, გაუნადგუროს, გაუქარწყლოს და უარყოფინოს სამყაროზე, ბუნებასა და ადამიანზე, სიყვარულის არსზე მაღალი *მეტა*-ფიზიკური და *იდეა*-ლისტური წარმოდგენები (ნიჰილისტური დისკურსი), მეორე მხრივ, ცდილობს აცდუნოს, მოატყუოს (და ამით დაარწმუნოს) ფაუსტი, რომ მთავარი “ეთიკური” საქციელი მისი პრაგმატული და მერკანტილური ქმედება თუ იქნება. შესაბამისად, ფაუსტის ანთროპოლოგიური არსისა და მისი იდეალისტურ-მეტაფიზიკური წარმოდგენების სკეპტიკურ შეფასებებში მეფისტო გვევლინება “უარმყოფელ სულად”, ნიჰილისტად, რომელიც ყველაფერს “მარადიულ სიცარიელეში” („Das Ewig-Leere“), ანუ *არარაში* მიაქანებს გასაქრობად.

ცდუნების მოტივის შემოტანით კი ტრაგედია იმეორებს ცდუნების ძველ და ახალ აღთქმისეულ კონცფციას და ამით ინტერტექსტუალურ სიახლოვეს ამყარებს ამ ტექსტებთან: (Gaier, 2001, p. 184-185): კერძოდ, ძველი აღთქმის (შესაქმის წიგნი) *ცდუნების* კონცეფციის მსგავსად, “ფაუსტის” პირველ ნაწილში მეფისტოფელის, როგორც

უარმყოფელი და მაცდუნებელი სულის, ამოცანაა ფაუსტის სექსუალური ცდუნება და მასში ლიბიდოზურობის გაღვივება, რისი ინსტრუმენტიც მისთვის გრეთჰენია: მეფისტო თავისი მატერიალისტური მენტალობისა და მსოფლმხედველობის გამო გრეთჰენს წმინდად „პოზიტივისტურად“ უყურებს და ის მისთვის მხოლოდ და მხოლოდ ფუნქციაა, ის რაღაცისათვის ან ვიღაცისათვის ფუნქციონირებს კაუზალობის პრინციპის თანახმად; ხოლო ახალ აღთქმაში (მათეს სახარება) განვითარებული *ცდუნების* კონცეფციის მსგავსად, ტრაგედიის მეორე ნაწილში მეფისტოს ამოცანაა ფაუსტი აცდუნოს "მამონიზაციით", ანუ იგი აცდუნოს ვერცხლისმოყვარეობისა და ძალაუფლებისმოყვარეობის ვნებების გაღვივებით.

ოღონდ, ბიბლიის ტექსტებსა და "ფაუსტის" ტექსტში განვითარებულ *ცდუნების* კონცეფციებს შორის განსხვავება ისაა, რომ ტრაგედიაში "ტრადიციული" ეშმაკი (სატანა, მამონა) კი არ აცდუნებს ფაუსტს თავისი ზებუნებრივი მანქანებით, არამედ აქ ცდუნების მოტივი "სეკულარიზებულია" – გაამქვეყნიერებულია, ისტორიზებულია: მეფისტოფელი, როგორც ფაუსტის მაცდუნებელი ძალა, რაიმე ზებუნებრივი, "ჯოჯოხეთიდან" ამოსული დემონიური ძალა კი არაა, არამედ თავად ფაუსტის ანთროპოსის წმინდად ადამიანური, ბუნებრივი ლიბიდოზური და მენტალური ნაწილია და ამიტომაც ფაუსტში სწორედ მისივე არაცნობიერი და ცნობიერი საწყისებიდან მოდის ნგრევაც და ცდუნებაც, სკეფსისიც და ნიჰილიზმიც.

თუმცა, ტრაგედიის მეორე ნაწილში მეფისტოფელის მიერ ინიცირებული და ფაუსტზე მიმართული ეს ნეგატიური გარემოებანი უკვე თანამედროვე (მოდერნულ) ისტორიულ პროცესსა და სოციოკულტურულ შრეებსაც მოიცავენ მთლიანად და ფაუსტის ანთროპოსის სუბიექტური სიბრტყიდან გადაინაცვლებენ ისტორიის ობიექტურ სიბრტყეზეც, ვინაიდან ტრაგედიის მეორე ნაწილში მეფისტოფელი არა მხოლოდ ფაუსტის ანთროპოსის შემადგენელი ნაწილია, არამედ "მამონიზაციის" შიზოფრენიით შეპყრობილი ისტორიული მოდერნის ეპოქის ობიექტურ სულსაც განასახიერებს.

დასკვნა: მეფისტოფელის მახასიათებლები

ამგვარად, „ფაუსტის“ ტექსტში იკვეთება მეფისტოფელის პერსონაჟის შემდეგი არსობრივი მახასიათებლები:

1. *ანთროპოლოგიური* (ადამიანის არსთან დაკავშირებული) მახასიათებელი – მეფისტოფელი, ვითარცა არაცნობიერი, არარაციონალური ადამიანური საწყისის, ინსტინქტის, ლიბიდოზურობის, სექსუალობის, ვიტალურობის, ასევე, სხეულებრიობის განსახიერება;
2. *ონტოლოგიური* (ყოფიერებისეული) მახასიათებელი – მეფისტოფელი, ვითარცა სამყაროს არარაციონალური საწყისის – *ძალის/ნების* (გერმ. Kraft/Wille), ასევე, სამყაროს პირველსაწყისისეული *ბნელის/უკუნის* („Finsternis“) განსახიერება;

3. *გნოსეოლოგიური* (შემეცნებითი) მახასიათებელი – მეფისტოფელი, ვითარცა სკეპტიკური, ნიჰილისტური ცნობიერებისა და არამეტაფიზიკური შემეცნების განსახიერება;
4. *აქსიოლოგიური* (ღირებულებითი) მახასიათებელი – მეფისტოფელი, ვითარცა მერკანტილურ-მომხმარებლური ღირებულებებისადმი მსწრაფველი არსი;
5. *მენტალური* მახასიათებელი – მეფისტოფელი, ვითარცა მატერიალისტური ცნობიერების განსახიერება;
6. *ეგზისტენციური* მახასიათებელი – მეფისტოფელი, ვითარცა ეგზისტენციური უსაზრისობის, "მარადი სიცარიელის" („das Ewig-Leere"), ანუ *არარას,* განსახიერება;
7. *მსოფლმხედველობრივი* მახასიათებელი – მეფისტოფელი, ვითარცა მატერიალისტური ყაიდის რადიკალური განმანათლებლობის განსახიერება;
8. *ეთიკური* მახასიათებელი – მეფისტოფელი, ვითარცა იმმორალიზმის განსახიერება, ანუ "სიკეთისა" და "ბოროტების" მორალურ კატეგორიათა მიღმა მდგომი არსი;
9. *ისტორიულ-სოციოკულტურული* მახასიათებელი – მეფისტოფელი, ვითარცა *მოდერნის* ეპოქის უტილიტარული, კოლონიზატორული, ექსპანსივისტური და მოძალადე სულის/სულისკვეთების განსახიერება.[1]

გამოყენებული ლიტერატურა:

ბრეგაძე, კ. (2024). გოეთეს „ფაუსტი": სიმბოლიკა და პოეტიკა, თბილისი: „მერიდიანი"

Anderegg, J. (2013). Zum Teufel mit dem >>heiligen Original<<. Überschreibung biblischer Vorlagen in Goethes „Faust", Goethe-Jahrbuch, Bd. 130, p. 109-122, Göttingen: Wallstein

Gaier, U. (2001). Erläuterungen und Dokumente: Johann Wolfgang Goethe. "Faust. Der Tragödie Erster Teil", Stuttgart: Reclam

Goethe, J. W. (2000). Faust. Der Tragödie Erster Teil, Stuttgart: Reclam

Goethe, J. W. (2001). Faust. Der Tragödie Zweiter Teil, Stuttgart: Reclam

Schmidt, J. (2011). Goethes "Faust". Erster und Zweiter Teil. Grundlagen – Werk – Wirkung, 3. Aufl., München: Beck

Vaget, H. R. (2002). „Mäßig boshaft": Fausts Gefährte. Goethes Mephistopheles im Lichte der Aufklärung, Goethe-Jahrbuch, Bd. 118, p. 234-246, Weimar: Böhlaus

[1] მეფისტოს პერსონაჟის არსზე კი დაწვრილებით იხ. ჩემს ახლადგამოცემულ მონოგრაფიაში „გოეთეს *ფაუსტი:* სიმბოლიკა და პოეტიკა" (ბრეგაძე, 2024, გვ. 194-279).